ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 9 სექტემბერი, 2022 №178 (8956) ფასი: 80 თეთრი

## დააკავეს 63 წლის მამაკაცი, რომელმაც 12 წლის ბავშვზე სექსუალურად იძალადა

გვ.5

# „ქართულ ოცნებას“ დასავლეთთან ვირეშმაკობა აღარ გაუვა“




ლელა ჯეჯელავა: „ქართულ ოპოზიციას აქვს გარკვეული ფობია, შიშები, რომ ხელისუფლებაში მოსვლაზე პასუხისმგებლობა აიღონ“

გვ.2

## „ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა არასწორია“

გვ.3

გედევან ფოფხაძე: „პარლამენტში დღეს არაფერი არ წყდება. იქ რაც ხდება, მოჩვენებითია. ქართველმა ხალხმა თავისი მკვეთრი პოზიცია 20 ივნისს დააფიქსირა“

## „ივანიშვილის სანქცირებას შესაბამისი წინაპირობები უნდა ჰქონდეს“

გვ.4

მამუკა ტუსკაძე: „რუსეთმა კატასტროფული შეცდომა დაუშვა, უკრაინაში რომ შეიჭრა. ეს შეცდომები რუსეთს ძვირად დაუჯდება“

## რუსეთის ჯარს პატიმრებით ავსებენ

უკრაინელი ექსპერტი: „რუსეთის არმიას დღეს ბელარუსიდან შეტევისთვის რესურსები არ გააჩნია“

გვ.4

გვ.3

ვიოლა ფონ კრამონი ირაკლი კობახიძეზე: „ღმერთო ჩემო... საწყალი საქართველო“

## დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე გარდაიცვალა

გვ.6

პრინცი ჩარლზი გაერთიანებული სამეფოს მეფე გახდა

გვ.4

## თეა წულუკიანი: „არ გვჭირდება დახმარება“

გვ.3

**5** კრიმინალური პოლიცია ქვეყნის მასშტაბით ჩვილების საფლავებს ეძებს

**3** კობა გვენეტაძე: „ველით, რომ ინფლაცია შემცირებას იანვარ-თებერვალში დაიწყებს“

**7** კვარაცხელიამ ევროპაც აალაპარაკა

**6** ენტონი ბლინკენი კიევში ჩავიდა

1993230720223

# „ქართულ ოცნებას“ დასავლეთთან ვირეშმაკობა აღარ გაუვა“

## ლელა ჯეჯელავა: „ქართულ ოპოზიციას აქვს გარკვეული ფობია, შიშები, რომ ხელისუფლებაში მოსვლაზე პასუხისმგებლობა აიღონ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

***– ქალბატონო ლელა, პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში იმყოფება ვიზიტით. მოვისმინეთ გამოსვლები, განცხადებები. რით დასრულდება ეს ვიზიტი? წასვლის წინ საგრძნობლად შეცვალეს ტონი, ცდილობდნენ, სამეულის განცხადებებს გამიჯვნოდნენ, ამერიკის ელჩიც კარგი გახდა და ევროპაც. ეს ყველაფერი სჭირდებოდათ ვიზიტის წინ თუ ცდილობენ, სტრატეგია შეცვალონ?***

– რასაკვირველია, ეს არ არის სტრატეგიის გაცნობიერებული ცვლილება, გამოწვეული იმით, რომ კარგად გაიაზრეს, რა პროცესები მიმდინარეობს. ეს არის იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მთელი 10 წლის განმავლობაში ჰქონდა ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ქართულ ენაზე ამას ვირეშმაკობა ჰქვია. ერთი ცუდი ამბავი ის გახლავთ, რომ ეს ვირეშმაკობა ისე კარგად და სარფიანად აღარ იყიდება საერთაშორისო ბაზარზე, როგორც აქამდე იყიდებოდა.

***– აღარ სჯერათ ივანიშვილის თუ რატომ?***

– იმიტომ რომ, როგორც არაერთგზის გვითქვამს, უკრაინის მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა საერთაშორისო კონტექსტი, პოლიტიკა და ღირებულებათა ის სისტემა, რომელზეც ახალი დღის წესრიგი ეწყობა. ამიტომ, ბუნებრივია, ღარიბაშვილს არ უნდოდა, დასავლეთში ვიზიტისას ეს ყოფილიყო ძალიან მძიმე, საყვედურებით დატვირთული და არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჩვენი პარტნიორებისაგან. ამით ამ ყველაფრისთვის თავის არიდებას ცდილობდა. პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში გამოდის, ევროინტეგრაციის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს და საქართველოს პარლამენტი დაჩქარებული წესით ძლევს პრეზიდენტის ვეტოს მოსმენების კანონთან დაკავშირებით, რომელზეც ერთ-ერთმა ყველაზე კომპეტენტურმა და სანდო ინსტიტუციამ, ვენეციის კომისიამ, თავისი ვერდიქტი დადო. ეს ძალიან ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სხვას ამბობენ და სხვას აკეთებენ.

***– სხვას ამბობენ და სრულიად საპირისპიროს აკეთებენ?***

– დიახ, ასეა. მე როგორც ვაკვირდები პროცესებს, ძალიან დიდხანს ჩვენს უცხოელ პარტნიორებს ზედმეტად გულუბრყვილო დამოკიდებულება ჰქონდათ ბიძინა ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების პოლიტიკისადმი. არ ვიცი, ეს ნებსით ხდებოდა თუ უნებლიეთ. ძალიან ბევრი რამ გაუტარეს, რამაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქართულ სახელმწიფოს. ახლა ეს ეტაპი უკვე გავლილია, დასავლეთში ყველამ კარგად იცის, რეალურად რა ფასი აქვს ბიძინა ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების სიტყვას. შესაბამისად, ისინი რეაგირებენ მხოლოდ საქმეებზე. საქმენი როგორ წარმოაჩენენ „ქართულ ოცნებასა“ და ბატონ ბიძინა ივანიშვილს, საყოველთაოდ ცნობილია. როგორია დასავლეთის დამოკიდებულება, ესეც საყოველთაოდ არის ცნობილი. ვხედავთ, რომ ძალიან ხელშესახები გახდა სანქციები ივანიშვილსა და მის გარემოცვასთან დაკავშირებით.

***– ამ შემთხვევაში შვეიცარიულ ბანკს გულისხმობთ?***

– შვეიცარიულმა ბანკმა რომ უკვე დაიწყო მასთან, როგორც საეჭვო კლიენტთან, ურთიერთობის პროცესი, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ბიძინა ივანიშვილს ფინანსურ წრეებშიც აღარ აქვს ისეთი რეპუტაცია, როგორიც საჭიროა და მას უკვე, როგორც საეჭვო კლიენტს, ბანკი ისე ექცევა. შესაბამისად, ეს აისახება პოლიტიკურ ველზე მისდამი დამოკიდებულებაში. ეს პროცესები ბუნებრივად მიგვიყვანს იქამდე, რომ საზოგადოება საბოლოოდ გამოაფხიზლოს. ეს ოპოზიციის ნაწილს იძულებულს გახდის, გამოვიდეს კომფორტის ზონიდან და დაიწყოს ის პროცესი, რომელიც ბოლომდეა მისაყვანი.

***– პროცესის ბოლომდე მიყვანაში რა იგულისხმება?***

– რასაკვირველია, „ოცნების“ ხელისუფლების მშვიდობიანად გაშვება. ერთ დღეს გადავწყვეტ, რომ გავუშვა, ასე არ მოხდება. ოპოზიციამ უნდა წარმოადგინოს ძალიან მკაფიო სტრატეგიული ხედვა, თუ როგორ წარმოუდგენიათ ხელისუფლების გაშვება.

***– ქალბატონო ლელა, ბრიუსელში ყველა დონეზე გაჟღერდა, რომ სავალდებულოა 12–პუნქტიანი გეგმის შესრულება და ამის შემდეგ დავილაპარაკოთო. ხელისუფლება კი არ აპირებს ამ პირობის შესრულებას.***

– პასუხი იმაზე, რომ აუცილებელია 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება, რა რეკომენდაციებიც მოგვცა ჩვენ ევროკავშირმა, იყო საქართველოს პარლამენტში ვეტოს დაძლევა. ეს იყო ქმედითი და რეალური პასუხი.

***– ასევე სახალხო დამცველის არჩევის წესსაც ცვლიან, ამითაც უპირისპირდებიან ამ პროცესს.***

– რასაკვირველია. ბევრი პარამეტრია ისეთი, რომელიც რეალურად ადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ აზრადაც არ აქვთ არანაირი 12– პუნქტიანი გეგმის შესრულება. მათ ჰგონიათ, რომ ამ ვირეშმაკობით ბოლომდე გავლენ ფონს და ბოლოს ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი. აი, ეს არის მათი დამოკიდებულება.

***– ქალბატონო ლელა, ოპოზიციაზე საუბრობდით, უნდა გამოვიდნენ კომფორტის ზონიდანო. ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. ექსპერტთა ერთი ნაწილი კითხულობს, რის და ვის იმედად ითხოვენ ვადამდელს, დღეს ოპოზიცია არ არის იმ ფორმაში, რომ არჩევნებზე შედეგი დადონო. რას იტყვით თქვენ?***

– მე მიმაჩნია, რომ მზაობას განაპიროებს მოტივაცია. რა მოტივაცია აქვთ, როდესაც ითხოვენ ვადამდელ არჩევნებს? მე მრჩება განცდა და ბოლო პერიოდში ხშირად ვფიქრობ ამაზე, რომ ქართულ ოპოზიციას აქვს გარკვეული ფობია, შიშები, რომ აიღონ ხელისუფლებაში მოსვლაზე პასუხისმგებლობა. აი, ამ ვითარებაში ეს არის მათთვის კომფორტის ზონა, რომ იყვნენ ოპოზიციაში, ჰქონდეთ ცნობადობა, ტელეეთერი, მთელი პასუხისმგებლობა დააკისრონ ხელისუფლებას და თვითონ რეალურად არანაირი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე არ აიღონ.

***– ანუ ამ პოზაში ყოფნა აკმაყოფილებთ?***

– რა თქმა უნდა, ეს არის მათი კომფორტის ზონა და ძალიან უჭირთ ამ ზონიდან გამოსვლა. მინდა, ყურადღება მიაქციოთ ერთ ფაქტს – ბოლო სამი არჩევნები, საპრეზიდენტოდან დაწყებული, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით დამთავრებული, ციფრებში გამოხატულია ისე, რომ საზოგადოება უარს ეუბნება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, მაგრამ რეალური შედეგი დგას სხვა, იმიტომ, რომ ოპოზიცია ვერ ემსახურება საზოგადოების იმ განწყობას, რომელიც გამოიხატა ციფრებში.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ მათ არაფერი არ გააკეთეს არასოდეს იმისთვის, რომ დაეცვათ არჩევნები გაყალბებისაგან. არჩევნები რომ გაყალბდა, დღეს ამაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ ჩვენი პარტნიორებიც და ეს დასამალი არავისთვის აღარ არის. ოპოზიციამ ვერ შეძლო და ვერ უზრუნველყო ვერცერთ არჩევნებზე კომისიაში ისეთი წევრების გაშვება, რომლებიც, უბრალოდ, დაიცავდნენ ხალხის ხმებს და არ გაიყიდებოდნენ! უნდა დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი. დიახ, ოპოზიციური პარტიები, კომისიის წევრები იყიდებიან! და მთავარი გაყალბება ხდება არა არჩევნების დღეს, როდესაც ხმის მიცემა ხდება, არამედ მანამდე, ასევე არჩევნების შემდგომ, უკვე კომისიებში, როდესაც ფაქტობრივად ოქმები თავიდან დაიწერა. არ უზრუნველყო იმიტომ, რომ არ მოინდომა კომფორტის ზონიდან გამოსვლა და პასუხისმგებლობის აღება საქართველოს მოქალაქეების წინაშე!

***– ახალ ოპოზიციურ ლიდერებს გამოკვეთს დრო უახლოეს პერიოდში?***

– ლიდერები არ ქმნიან ისტორიულ პროცესებს. ლიდერები არიან ისტორიული პროცესის ნაწილი, მაგრამ პროცესი ქმნის ლიდერებს. ისტორიული პროცესი ახლა იმგვარია, რომ აუცილებლად იქნება საჭირო იმ პოლიტიკური ძალებისა თუ პერსონების გამოჩენა, რომლებიც მზად აღმოჩნდებიან, აიღონ პასუხისმგებლობა ქართველი საზოგადოების წინაშე.

# ოლიგარქის მიერ სახელმწიფოს მიტაცება, ფარული ბიზნესგარიგებები რუსეთში

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში, ფესვგადგმული კორუფციისა და კლეპტოკრატიის აღმოფხვრის მიზნით, სახელმძღვანელო პრინციპებსა და მითითებებს ითვალისწინებს.

USAID-ის კორუფციასთან ბრძოლის სამუშაო ჯგუფის ავტორობით გამოქვეყნებულ დოკუმენტში წერია, რომ საქართველოსთვის 2012 წლის შემდეგ, კორუფციისა და კლეპტოკრატიის წინააღმდეგ შესაძლებლობების ფანჯარა დაიხურა, რაც უნდა გახდეს შეერთებული შტატების მთავრობის მიერ შეფასების საგანი და ისეთი პოლიტიკური ბერკეტების ამოქმედების საფუძველი, როგორიც არის კორუმპირებული მთავრობის წევრთა აქტივების გაყინვისა და კორუფციულ სქემებში ჩართული, მაღალი თანამდებობის პირთა წინააღმდეგ სანქციების დაწესება. (გვ:16-17)

დოკუმენტში საქართველოში არსებულ კლეპტოკრატიასა და კორუფციის გამომწვევ შედეგად, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს შეფასებაზე დაყრდნობით, დასახელებულია ოლიგარქის მიერ სახელმწიფოს მიტაცების ფაქტი, ფარული ბიზნეს გარიგებები რუსეთში, საქართველოს ეკონომიკის მზარდი დამოკიდებულება რუსეთის ეკონომიკასა და კორუმპირებული თანამდებობის პირთა დაუსჯელობა.

დეკლეპტიფიკაციის სახელმძღვანელო დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2004-2012 წლებში, საქართველომ გაატარა საჯარო სექტორის, საგადასახადო კანონმდებლობის, პოლიციისა და სხვა ინსტიტუციური რეფორმები, რამაც მკვეთრად შეამცირა ქვეყანაში კორუფციის, მექრთამეობისა და კლეპტოკრატიის დონე.

დოკუმენტის მიხედვით, საქართველო დასახელებულია იმ 14 ქვეყანას შორის, რომელმაც USAID-ის დახმარებით, 2004-2012 წლებში განხორციელებული, წარმატებული ინსტიტუციური რეფორმებით მაგალითი მისცეს სხვა ქვეყნებს რეგიონში და შეძლებს შესაძლებლობების ფანჯრის გამოყენება დეკლეპტიფიკაციისთვის.

კლეპტოკრატიის წინააღმდეგ სახელმძღვანელო დოკუმენტში წერია, რომ დეკლეპტიფიკაცია რამდენიმე თაობის პროექტია და შეცდომაა ამ პროცესის ისე დანახვა, თითქოს ქვეყნებისთვის გაღებული შესაძლებლობების ფანჯრის გამოყენების შემდეგ კლეპტოკრატიასთან ბრძოლა ამით სრულდება. ამ მიდგომამ შესაძლოა, პირიქით, ქვეყნებში კლეპტოკრატიული და კორუფციული პროცესები ახალი ენერგიით წარმოშვას, როგორც ეს 2012 წლის შემდეგ საქართველოში მოხდა.

# ელენე ხოშტარია: „4 სექტემბერს ირანის ერთ-ერთი აეროდრომიდან აფრინდა თვითმფრინავი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გავლით მოსკოვში წავიდა“

პარტია „დროას“ ლიდერ ელენე ხოშტარიას განცხადებით, 4 სექტემბერს ირანის ერთ-ერთი აეროდრომიდან აფრინდა თვითმფრინავი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გავლით მოსკოვში წავიდა.

როგორც ხოშტარიამ ბრიფინგზე განაცხადა, „ირან ეარი“, რომელსაც ეს თვითმფრინავი ეკუთვნის, არის ამერიკის მიერ სანქცირებული ავიაკომპანია.

ხოშტარია ამასთან დაკავშირებით მოითხოვს, ყველა შესაბამისი უწყებიდან გაკეთდეს განმარტება.

– საზოგადოებას მინდა, საგანგაშო ინფორმაცია მივაწოდო საქართველოს მხრიდან, სავარაუდოდ, უკრაინის ომში რუსეთისთვის სამხედრო ხელშეწყობის შესახებ.

კერძოდ, ისრაელის ერთ-ერთი მედია საშუალების ინფორმაციით, 2022 წლის 4 სექტემბერს, ირანის ერთ-ერთი აეროდრომიდან აფრინდა თვითმფრინავი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გავლით, იმიტომ, რომ ის არ გაუშვა აზერბაიჯანმა კასპიის ზღვით, წავიდა მოსკოვში.

ბოლო პერიოდში, ძალიან ბევრი იწერება იმის შესახებ, რომ ირანი დრონებს და სამხედრო ტექნიკას აწვდის რუსეთს, უკრაინაში გამოყენებისთვის. ამ აეროდრომს სამხედრო და სამოქალაქო სტატუსი აქვს. გაუგებარია საქართველომ რატომ დაუთმო თავისი საჰაერო სივრცე ასეთ საფრთხის შემცველ თვითმფრინავს მაშინ, როდესაც ეს არ გააკეთა აზერბაიჯანმა. არსებობს დასაბუთებული ეჭვი იმისა, რომ საქმე გვაქვს სამხედრო ტექნიკის საქართველოს საჰაერო სივრცით გადატანასთან.

კატეგორიულად მოვითხოვთ, ყველა შესაბამისი უწყებიდან გაკეთდეს განმარტება, თუ რატომ შემოვიდა საქართველოს საჰაერო სივრცეში ეს თვითმფრინავი, რა ტვირთით იყო დატვირთული და, საერთოდ, რა კავშირი აქვს საქართველოს ამ გადაზიდვებთან, – განაცხადა ხოშტარიამ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა არასწორია“

## „პარლამენტში დღეს არაფერი არ წყდება. იქ რაც ხდება, მოჩვენებითია. ქართველმა ხალხმა თავისი მკვეთრი პოზიცია 20 ივნისს დააფიქსირა“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, რამდენად არის მოსალოდნელი ისეთი რადიკალური მოვლენები, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს, როგორც ეს ნიკა მელიამ დააანონსა?***

– ვადამდელ არჩევნებზე ახლა საუბარი, ჩემი აზრით, არასწორი დღის წესრიგის შემოთავაზებაა. ეს უფრო პარტიული დღის წესრიგია, ვიდრე საჯარო ინტერესით ხელმძღვანელობა. ახლა მთავარია ოპოზიციის გაერთიანება და კონსოლიდირება, მეტი საერთო წერტილის პოვნა, რადგან მთელი ცივილიზებული სამყარო მიბმულია უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან, იმ შედეგთან, რომელიც მოჰყვება ამ ომს. რასაკვირველია, საქართველოც პირდაპირ არის მიბმული უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან. საქართველო არ არის განცალკევებული ამ მოვლენებისგან.

მე ვფიქრობ, ოპოზიციის წინაშე დღეს ორი ამოცანა დგას: პირველი, გლობალურ პოლიტიკურ პროცესს უნდა მოერგო და მიება და მეორე – სწორი, თანმიმდევრული პოზიცია უნდა გქონდეს. ვადამდელი არჩევნების წინაპირობა უნდა იყოს დემოკრატიული და სამართლიანი, თავისუფალი გარემო.

არა მგონია, ვინმე იყოს ისეთი არაადეკვატური და გულუბრყვილო, რომელიც ვერ გრძნობს ამ ისტორიულ ეპოქას. დღეს უკრაინაში წყდება საქართველოსა და მთელი ცივილიზებული სამყაროს ბედიც.

მას შემდეგ, რაც უკრაინამ მოიპოვა საომარ მოქმედებაში სტრატეგიული უპირატესობა, რა თქმა უნდა, ეს გლობალურად პოლიტიკურ პროცესებზეც აისახება. ეს უნდა დაინახოს „ქართულმა ოცნებამაც“. მთელი წელი ზელენსკის ღანძღვა-გინებაში რომ იყვნენ და ამერიკასა და ამერიკის ელჩზე შეტევას ახორციელებენ, რისთვისაც ცალკე ოთხეული გამოყვეს, ეს პოლიტიკა უნდა შეცვალონ. ამ ომში უკრაინის უპირატესობას უკვე ლატენტური თუ აშკარა პრორუსებიც კი ხვდებიან. ამიტომ „ქართულ ოცნებას“, უნდა თუ არა, რიტორიკის შეცვლა მოუწევს.

საქართველოს პარლამენტში დღეს არაფერი არ წყდება. ის, რაც იქ ხდება, მოჩვენებითია. ქართველმა ხალხმა თავისი მკვეთრი პოზიცია 20 ივნისს დააფიქსირა. ამ ქვეყნის მოქალაქეების არჩევანი არის დასავლეთი, ევროპული ცივილიზაციის ნაწილად ყოფნა და არა რუსეთის გუბერნიობა, რასაც გვთავაზობს „ქართული ოცნება“. ქართველმა ხალხმა თავისი ნება გამოხატა, მაგრამ ამ ნების წინააღმდეგ მიდის ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ მათი არჩევანი არის ევროპა და დასავლეთი, მაგრამ გადადგმული ნაბიჯები გაკეთებული განცხადებების ადეკვატური არ არის.

***– ვადამდელ არჩევნებზე საუბარი არაადეკვატურია?***

– ვადამდელი არჩევნები აუცილებლად იქნება, მაგრამ მანამდე სამუშაოებია ჩასატარებელი. თუ ისევ ისე ჩატარდება არჩევნები, როგორც 2020 წელს, მაშინ რა აზრი აქვს?! თუ არ შეიცვლება მოცემულობა, თუ ციხიდან არ გამოვიყვანთ ნიკა გვარამიას, თუ ისევ ადამიანები იქნებიან ამ ტერორის ქვეშ, რა აზრი აქვს არჩევნების დანიშვნას?!

***– პარლამენტში 12-პუნქტიანი გეგმის ირგვლივ მიმდინარეობს მსჯელობა. საუბარია სახალხო დამცველის არჩევის წესის ცვლილებაზე, მთავარი პროკურორის არჩევის ახალ წესზე. შეიძლება, „ქართული ოცნება“ რაიმე სახის დათმობაზე წავიდეს?***

– მეეჭვება, რომ „ქართული ოცნება“ რამე დათმობაზე წავიდეს. ეს, დღევანდელი მოცემულობით, გამორიცხული მგონია. ერთადერთ შემთხვევაშია ასეთი რამ შესაძლებელი: თუ ბიძინა ივანიშვილი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ შემობრუნდეს და დასავლეთს დაანახოს, რომ ის მზად არის დიალოგისთვის. ამ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, ასეთი დიალოგი დასავლეთისთვისაც საინტერესო იყოს.

**„თუ ბიძინა ივანიშვილი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ შემობრუნდეს და დასავლეთს დაანახოს, რომ ის მზად არის დიალოგისთვის, ამ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი დიალოგი დასავლეთისთვისაც საინტერესო იყოს“**

თუ „ქართულ ოცნებას“ ელემენტარული ადეკვატურობა ეყოფა, მაშინ მათ მზადყოფნა უნდა გამოთქვან ასეთი ცვლილებებისთვის, ასეთი გადაწყვეტილებისთვის. გასაგებია, რომ ეს შესაძლოა ხელისუფლების დაკარგვის ფასად დაუჯდეთ, მაგრამ შეიძლება ასე ჯობდეს მათთვის, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გაცილებით ცუდად დაკარგონ ხელისუფლებაც და ბევრი მათგანი პერსონალურ სანქციებსაც კი დაექვემდებაროს, ბევრიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აღმოჩნდეს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ. ამიტომ მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რა ჯობია. როდესაც ისტორიული პროცესის მონაწილე ხდები, მაშინ, ვალდებული ხარ, ადეკვატურობა გამოიჩინო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი ადგილი იქ არ არის. დღეს ამ პროცესში „ქართული ოცნების“ ადგილი ნამდვილად არ არის.

## ღარიბაშვილი – „დედოფალი ელისაბედ II იყო ლიდერი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უძღვებოდა ერს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

მთავრობის მეთაური სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს, რომ ელისაბედ II იყო ლიდერი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უძღვებოდა ერს, იყო პატივისცემისა და სიყვარულის ობიექტი.

ირაკლი ღარიბაშვილი აღნიშნავს, რომ დედოფალი ელისაბედ II თაობებს ემახსოვრება.

– გულითადად ვუსამძიმრებთ სამეფო ოჯახს, გაერთიანებული სამეფოს მთავრობასა და ხალხს. მისი უდიდებულესობა, დედოფალი ელისაბედ II იყო ლიდერი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უძღვებოდა ერს, იყო პატივისცემისა და სიყვარულის ობიექტი. ის თაობებს ემახსოვრება, – წერს პრემიერ-მინისტრი.

## კობა გვენეტაძე: „ველით, რომ ინფლაცია შემცირებას იანვარ-თებერვალში დაიწყებს“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის განცხადებით, სასურსათო პროდუქტზე ფასების მკვეთრი ზრდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს პრობლემაა, რასაც ის ძალიან განიცდის.

როგორც გვენეტაძემ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საქართველოში უკვე დაბრუნდა ეკონომიკური ზრდა, რის შემდეგაც შემცირდება ინფლაციაც და სიღარიბის დონეც.

– აბსოლუტურად მესმის როგორც პიროვნულად, ასევე, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ძალიან განვიცდი ამას, პირდაპირ გეუბნებით, მაგრამ ჩვენს მსგავს სიტუაციაში არიან ასევე სხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტები. მაგალითად, ჩვენ თუ შევხედავთ გაეროს სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის ინდექსს, ძალიან მაღალი, რეკორდული ზრდა დაფიქსირდა სასაქონლო ბაზრებზე, იმავე ზეთთან, შაქართან დაკავშირებით. ასე რომ, ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. ეს არის მსოფლიოს პრობლემა.

მე, რა თქმა უნდა, ისიც მესმის, რომ ეს სოციალურად საკმაოდ დიდ გამოწვევას ქმნის. პროდუქტების ჯგუფის თარგეთირება აბსოლუტურად შეუძლებელია და ამას ეროვნული ბანკი ვერ აკეთებს, მაგრამ, როდესაც ეს სოციალურ ფონს ცვლის, ამ შემთხვევაში უკვე ფისკალურმა მხარემ უნდა აიღოს თავისი ტვირთი, უნდა გაიზარდოს სოციალური დახმარება. ზოგადად, მსოფლიოში პანდემიის შემდეგ სიღარიბე გაიზარდა, ასევე იქნებოდა საქართველოშიც, მაგრამ, მას შემდეგ, რაც სწორი პოლიტიკით მოხდა ამასთან გამკლავება, უკვე დაბრუნდა ეკონომიკური ზრდა, შემცირდება ინფლაციაც და სიღარიბის დონეც აუცილებლად შემცირდება, – განაცხადა გვენეტაძემ.

გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ლარს მსყიდველობითი უნარი იგივე არ აქვს, რაც ადრე ჰქონდა.

– აბსოლუტურად მესმის, რომ მსყიდველობითი უნარი ლარს იგივე არ აქვს, რაც ადრე იყო, მაგრამ, შემიძლია გითხრათ, რომ ეს მარტო საქართველოში არ არის, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ასეა. მსყიდველუნარიანობა დაეცა, მაგალითად, ცოტა ანეკდოტური შედარებაა და შეგიძლიათ მოძებნოთ ეს ინფორმაცია, მაგალითად, აშშ-დან მექსიკაში გადადიან ბენზინის საყიდლად, ანუ ეს მთელი მსოფლიოს ყველაზე დიდი გამოწვევაა დღეს, – განაცხადა გვენეტაძემ.

ამასთან, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნა, მოსალოდნელია, რომ ინფლაცია შემცირებას იანვარ-თებერვალში დაიწყებს.

– იმ პროგნოზებით, რომლებიც ჩვენ დღეს გვაქვს, წლიური ინფლაცია ამ წლის ბოლომდე დაახლოებით დღევანდელ დონეზე შენარჩუნდება. საშუალო წლიური მაჩვენებელი ალბათ დაახლოებით 9,5% იქნება. სხვა თანაბარ პირობებში ჩვენ ველით, რომ ინფლაცია შემცირებას იანვარ-თებერვალში დაიწყებს და დაახლოებით 2023 წლის შუაში უკვე მიზნობრივ მაჩვენებელს, 3%-ს მიუახლოვდება, – განაცხადა გვენეტაძემ.

## თეა წულუკიანი: „არ გვჭირდება დახმარება“

„მისი დახმარება არ გვჭირდება... მინდა, უკრაინას მშვიდობა ვუსურვო და ბატონ არახამიას ვურჩიო, სწორედ ამ საქმით დაკავდეს და არა სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევით“, – ამის შესახებ კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს. მის ამ კომენტარს საზოგადოებრივი მაუწყებელი ავრცელებს.

– ბატონი არახამია, როგორც ვამბობთ ხოლმე, ჩვენთან უკვე არის პროგრამაში, რადგან დღე ერთია და რამდენიმე განცხადებას აკეთებს საქართველოსა და მის შიდა პოლიტიკურ საქმეებზე, რისი უფლებაც, არ მგონია, ჰქონდეს, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს. უბრალოდ ვუპასუხებდი, ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდება დახმარება იმაში, რომ ამ ქვეყანაში ატყდეს ომი, ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდება დახმარება, რომ ამ ქვეყანაში იყოს დესტაბილიზაცია და იღუპებოდნენ ადამიანები.

პირიქით, სულ სხვა სტილით ვმართავთ ქვეყანას და ყველაფერს ვაკეთებთ. მთავრობა და პარლამენტი აკეთებს ყველაფერს, ხანდახან შეუძლებელსაც იმისთვის, რომ იყოს მშვიდობა, იმისთვის, რომ ბავშვები დილით კარგ ხასიათზე მიდიოდნენ ბაღებში, სკოლებში და ზაფხულში ისვენებდნენ მშვიდობიან გარემოში, მათი მშობლები არ ნერვიულობდნენ იმაზე, რომ შეიძლება სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას. ეს არის ჩვენი კრედო.

მინდა, ვუთხრა ბატონ არახამიას, მისი დახმარება ჩვენ არ გვჭირდება, რადგან ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისთვის. მინდა, უკრაინას ვუსურვო, რაც შეიძლება მალე მშვიდობის დამყარება, ტერიტორიების გამთლიანება და სუვერენიტეტის გაძლიერება. მინდა, ბატონ არახამიას ვურჩიო, სწორედ ამ საქმით დაკავდეს და არა სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევით. შეგახსენებთ, ბატონო დავით, თქვენთან არის ომი, ამიტომ ამ საქმეს მიხედეთ და ამ საქმეში გამარჯვებებსა და წარმატებებს გისურვებთ, – განაცხადა წულუკიანმა.

## შალვა პაპუაშვილი: „დაგმობას არ ვაპირებ“

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის განცხადებით, „ქართული ოცნებიდან“ გასული დეპუტატების განცხადებების დაგმობას არ აპირებს.

როგორც პაპუაშვილმა გადაცემა „თავისუფალ სტუდიაში“ განაცხადა, პარტიიდან გასული ოთხი დეპუტატი, „ქართული ოცნების“ ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი წევრები იყვნენ. „ჩვენთვის დანაკლისია, რომ ისინი არ არიან ჩვენს გუნდში“.

– პრემიერ-მინისტრმა, პარტიის თავმჯდომარემ, ჩვენი გუნდის ყველა წევრმა თავიდანვე ვთქვით, რომ ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ პარტიას, რომელსაც აქვს სახელისუფლებო პასუხისმგებლობა, თავს მისცეს შესაძლებლობა ასეთი სახის პოლემიკის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

დაგმობას არ ვაპირებ. საქმე ისაა, რომ ჩვენი გუნდის საკმაოდ ხანგრძლივი, მნიშვნელოვანი წევრები იყვნენ. ჩვენთვის დანაკლისია, რომ ისინი არ არიან ჩვენს გუნდში. პიროვნულად ურთიერთობები, რა თქმა უნდა, გვაქვს. არ ვაპირებ მათ მიმართ პიროვნულად განცხადებების გაკეთებას. მიზეზი, თუ რატომ გამოეყო ეს ოთხი ადამიანი ჩვენს გუნდს, იყო ის, რომ მათ გადაწყვიტეს სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით საუბარი, – განაცხადა პაპუაშვილმა გადაცემა „თავისუფალ სტუდიაში“.

## ვიოლა ფონ კრამონი ირაკლი კობახიძეზე: „ღმერთო ჩემო... საწყალი საქართველო“

– ღმერთო ჩემო. ყოველ ჯერზე, როცა ფიქრობ, რომ ამაზე ქვემოთ აღარ დაეშვება, ის უფრო დაბლა ეშვება და მეტ ტყუილს ამბობს, – ამის შესახებ ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი „ტვიტერზე“ წერს, რითაც ის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც ევროპარლამენტარი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა და განაცხადა, რომ „როცა ადამიანი ასეთ რაღაცებს ლაპარაკობს, ის არათუ გვარამიასთან, არამედ არავისთან შესაშვები არ არის“.

– საწყალი საქართველო. მისი ხალხი უკეთესს იმსახურებს. მაგრამ ჩვენ მაინც გვიყვარხართ და მხარს გიჭერთ, რაც უნდა დაბლა დაეშვან ისინი, – წერს ვიოლა ფონ კრამონი.

# რუსეთის ჯარს პატიმრებით ავსებენ

## უკრაინელი ექსპერტი: „რუსეთის არმიას დღეს ბელარუსიდან შეტევისთვის რესურსები არ გააჩნია“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის ომში უკრაინელების მხარეს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი მოხალისეები, უკრაინის გარდა, იცავენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

უკრაინის მხარეს ბრძოლაში ჩაბმულ ჩეჩნების ბატალიონებსა და ბელარუსულ პოლკს (კალინოვსკის სახელობის პოლკი) თავიანთი მიზნები ამოძრავებთ.

ჩეჩენი მოხალისეების შემთხვევაში ესაა კადიროვის მოშორება და თავისუფალი იჩქერია. რუსეთის მოწინააღმდეგე ჩეჩნები ამბობენ, რომ მათი ამოცანები პირდაპირ არ არის მიბმული მიმდინარე ომთან. ომმა შეიძლება ჩეჩნეთის გათავისუფლება, უბრალოდ, დააჩქაროს.

პუტინ-ლუკაშენკოს მოწინააღმდეგე ბელარუსების ამოცანებია ლუკაშენკოს რეჟიმის გასტუმრება და ბელარუსის გადემოკრატიულება.

ბოლო დროს უკრაინის შეიარაღებულ ძალებს სამხრეთ ფრონტზე დიდი მიღწევები აქვთ. ამ და სხვა საკითხებზე ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა უკრაინელი ექსპერტი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში **ოლეგ ბელოკოლოსი.**

***– როგორ აფასებთ უკრაინის შეიარაღებული ძალების შეტევის წარმატებებს ხერსონის მიმართულებით?***

– როგორც ყველა უკრაინელი, აღმაფრენით ვადევნებ თვალს ჩვენი ძალების წინსვლას. ამაში წვლილი მიუძღვის დახმარებას, რომელსაც გვიწევენ მეგობრები და პარტნიორები.

***– პოლონეთის, აშშ-ის ანალიტიკოსები, ასევე ბრიტანეთის დაზვერვა რამდენიმე დღის წინ იუწყებოდნენ, რომ ხერსონის შეტევითი ოპერაცია შეიძლება ერთადერთი არ იყოს უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევებში. პრეზიდენტმა ზელენსკიმ „აბც“-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინის არმიამ დაიწყო შეტევა რამდენიმე მიმართულებით. მისი თქმით, მტერს „სიურპრიზები“ ელოდება. ამაზე ვერაფერს გვეტყვით?***

– ჩვენი ჯარების სარდლობა აანონსებს გარკვეულ საკითხებს. ეს, პირველ რიგში, მუნის მიმართულებით?

– არა მგონია, რუსეთის არმიას დღეს ამ მხრიდან მასშტაბური შეტევისთვის რესურსები ჰქონდეს. შეინიშნება პრობლემა რუსეთის ჯარში პირადი შემადგენლობის შევსების კუთხით. ისინი იძულებული არიან, ჯარი პატიმრებით დააკომპლექტონ, რომ როგორმე დანაკარგი შეავსონ. ამ ე.წ. ახალწვეულების ხარისხი შესაბამისი იქნება. რუსეთის არმიის ამოცანა ამჟამად უფრო იმის შენარჩუნებაა, რის მიტაცებაც მოასწრეს. საუბარი შეიძლება იყოს მანევრებზე ყურადღების გადასატანად.

***– სამხედრო ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი ყურადღებას ამახვილებს „წვრთნებზე“, რომელსაც რუსეთი ატარებს ბელარუსის ტერიტორიაზე 8-დან 14 სექტემბრის ჩათვლით „ოდკბ“-ს (კოლექტიური უშიშროების ორგანიზაცია) ფარგლებში. მისი აზრით, პროვოკაციები შეიძლება ამ პერიოდში მოხდეს, რათა შემცირდეს ხერსონისკენ უკრაინის შეიარაღებული ძალების იერიშის ინტენსივობა. შეძლებენ პუტინი და ლუკაშენკო ორთქლის გამოშვებას „ხერსონის ქვაბულიდან“?***

– ვერაფერს გამოვრიცხავთ. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ამ აქტივობის მონიტორინგი ხორციელდება. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ბელარუსი და რუსეთი ერთიან სივრცეს წარმოადგენენ. ჩვენი მეომრების გარკვეული რაოდენობა იმყოფება ჩრდილოეთის მიმართულებით. ეს არის საფრთხის ველი.

***– ამასწინათ კასტულ კალინოვსკის სახელობის პოლკის მეთაურის მოადგილე ვადიმ კობანჩუკმა განაცხადა, რომ ბელარუსის გათავისუფლება ლუკაშენკოს რეჟიმისგან ბელარუსი მოხალისეების პრიორიტეტული მიზანია. გადაწყვეტილებები მიიღება ამის საფუძველზე. რა მოუვა ლუკაშენკოს, თუ გადაწყვეტს, გააფართოოს ომში მონაწილეობის ფორმატი თავის მიერ დაქვემდებარებული ძალებით?***

– აქ გაფართოება და შევიწროება არანაირ როლს არ თამაშობს. ჩვენ ერთმნიშვნელოვნად აღვიქვამთ ამ რეჟიმს (ლუკაშენკოს რეჟიმს) მტრულად. უკრაინის ჩრდილოელი მეზობელი იქნება მოწინააღმდეგე მანამდე, სანამ იარსებებს ლუკაშენკოს რეჟიმი. ის თვითონ არ წავა. საჭიროა ძალისხმევა, რომ ეს რეჟიმი დაეცეს, ბელარუსში კი განვითარდეს დემოკრატია, ეკონომიკა და პირადი თავისუფლება.

---

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.

# „ივანიშვილის სანქცირებას შესაბამისი წინაპირობები უნდა ჰქონდეს“

## მამუკა ტუსკაძე: „რუსეთმა კატასტროფული შეცდომა დაუშვა, უკრაინაში რომ შეიჭრა. ეს შეცდომები რუსეთს ძვირად დაუჯდება“

გულიკო ბალაძე

***– ბატონო მამუკა, როგორ გესმით უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნების მოთხოვნა ევროპარლამენტისადმი, რომ საქართველოში დაასანქცირონ გარკვეული პირები, რომლებსაც თვითონ ოლიგარქებად მიიჩნევენ?***

– ორი ქვეყნის ურთიერთობები ე.წ. მეგობრული ქვეყნების ყველა საზღვარს გასცდა. ცალმხრივად, უკრაინის მხრიდან ჩვენი ქვეყნის მმართველობაში უხეში ჩარევა მივიღეთ. უკრაინელებმა ევროპარლამენტარებს მიმართეს, საქართველოში დაასანქცირეთ ჩვენ მიერ გამოგზავნილ სიაში მოხვედრილი ადამიანებიო. ეს არის ბიძინა ივანიშვილი, მისი სანათესავო და სხვადასხვა ბიზნესმენები, რაც სრული აბსურდია, რადგან ყველანაირ საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება.

როგორ შეიძლება, ერთი ქვეყნის ხელისუფლებამ მეორე ქვეყნის ხელისუფლების სანქცირებისთვის იბრძოლოს მაშინ, როდესაც მათთან ომში არ ვართ ჩაბმული, მეგობრული ქვეყნები ვართ, ჰუმანიტარულ დახმარებას ვუგზავნით, უკრაინელ ლტოლვილებს ვიღებთ და ვეხმარებით, ყველა საერთაშორისო რეზოლუციას რუსეთის წინააღმდეგ მხარი დავუჭირეთ.

ამ ვითარებაში უკრაინის ხელისუფლება ასეთ ნაბიჯებს დგამს, რაც საქართველოს სახელმწიფოსთვის ზურგში ლახვრის ჩაცემაა. აღმოჩნდა, თურმე ისინი ამისთვის მზაკვრულად ემზადებოდნენ. ეს არის უხეში ჩარევა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულ ნორმებს არღვევს.

***– ერთხელ უკვე მოახერხეს და ევროპარლამენტის რეზოლუციაში ჩააწერინეს, ახლა ევროპარლამენტს ბიძინა ივანიშვილისა და სხვების მიმართ სანქციების დაწესებას უკრაინელები სთხოვენ. ბიძინა ივანიშვილის სანქცირებას ვერ მიაღწევენ?***

– ბიძინა ივანიშვილისადმი სანქციები მოთხოვნილი იყო, მაგრამ არცერთმა სახელმწიფომ, არცერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ თუ კორპორაციამ სანქციები არ დაუწესა. ერთადერთი, შვეიცარიის ბანკი „კრედით სუისი“ იყო, რომელმაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ბიძინა ივანიშვილთან ფინანსური დავა წააგო და ეს საკითხი მოიხსნა. ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის სანქცირებამ კრახი განიცადა.

დარწმუნებული ვარ, ახლაც კრახს განიცდიან. ამას მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა გააფუჭონ. სხვა დატვირთვა ამ მოთხოვნას არ გააჩნია.

ივანიშვილი რომ დასანქცირდეს, ამას შესაბამისი წინაპირობები უნდა ჰქონდეს. მაგალითად, უნდა იყოს მტკიცებულება, რომ ივანიშვილი რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას აფინანსებს, ან ივანიშვილი და მისი გარემოცვა პუტინის არმიას ტყვია-წამალს უგზავნის, ანუ რაღაც სასწაული რამ უნდა ჰქონდეს ჩადენილი, რომ დასანქცირდეს.

***– გარკვეული პირები ამბობენ, რომ შვეიცარიული ბანკის მხრიდან თუ ბანკზე გავლენით, რეალურად, ივანიშვილის ფარული „სანქცირება“ ხდება.***

– ამ წუთის მონაცემებით, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არავითარი სანქციები არ არის დაწესებული. ასეთი რამ არ არსებობს. ბიძინა ივანიშვილს ვერც დაასანქცირებენ, რადგან ამას საფუძვლები უნდა, თანაც – მყარი. ვთქვათ, გამოჩნდა რომელიმე პარტია ან კორპორაცია და ივანიშვილს ანგარიშები გაუყინა ან რაღაც საქმიანობა შეუზღუდა, ივანიშვილი ამას გაასაჩივრებს და მოიგებს (ეს ჩვეულებრივი სამოქალაქო დავის საკითხია), რადგან სანქცირებას საფუძვლები სჭირდება.

წარმოიდგინეთ, რაღაცას გაბრალებენ, მაგრამ შემდეგ ეს ბრალდება უსაფუძვლო აღმოჩნდება. დაახლოებით ასეთი თემაა.

***– ყველაფერს დეოლიგარქიზაციასთან რომ აკავშირებენ?***

– თითქოს, თუ სანქციები იქნება, დეოლიგარქიზაცია მოხდება, მაგრამ ასევე უკავშირებენ უკრაინის ომს, თითქოს, თუ საქართველოს მთავრობა ნამდვილად დასავლურია, მაშინ ომსა და უბედურებაში აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული. ჩვენ ის სახელმწიფო არ ვართ, რომელიც ომში უნდა ჩავერთოთ და რაღაცები გავაფუჭოთ. აქედან გამომდინარე, ივანიშვილის სანქცირება უსაფუძვლოა და უკრაინელების ამ მოთხოვნას პერსპექტივა არ აქვს.

ივანიშვილის დეოლიგარქიზაციის მოთხოვნაც ამითაა გამოწვეული, მაგრამ მათმა მოთხოვნამაც კრახი განიცადა.

***– როგორ?***

– ევროპარლამენტში ივანიშვილის სახელი და გვარი როგორც არ უნდა გააჟღერონ, ჯერჯერობით ვერაფერი იქნება, რადგან კონკრეტული სახელი და გვარი როგორც არ უნდა გააჟღერო, ყველაფერს საფუძველი სჭირდება. დაბრალება ერთია და სინამდვილე – მეორე. ევროპარლამენტი ახლა ივანიშვილისა და ქართული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შავი პიარით არის დაკავებული. ეს ამბავი მხოლოდ ამით შემოიფარგლება.

***– რაში სჭირდებათ ევროპარლამენტში ივანიშვილის წინააღმდეგ შავი პიარი?***

– პასუხი ძალიან მკაფიოა – ცდილობენ, რუსეთს რაც შეიძლება მეტი მტერი გაუჩინონ. ევროპის ქვეყნები აზრზე მოვიდნენ. მაგალითად, უნგრეთი, იტალიის ხელისუფლება, გერმანელები საპროტესტო აქციას მართავენ. ასევეა საფრანგეთიც. ერთი წლის წინ ეს ქვეყნები რუსეთს ღიად უპირისპირდებოდნენ. მართალია, რომ რუსეთმა ომი დაიწყო, მართალია, რომ რუსეთი ამ ომში დამნაშავეა და სამართალი მის მხარეს არ არის, მაგრამ, რადგან რუსეთის მხარეს სამართალი არ არის, ჩვენ ამ ომში ნამდვილად ვერ ჩავერთვებით რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა და ჯერჯერობით ამერიკა და ევროპა მზად არ არიან, ძლიერი სახელმწიფო ღია ომში დაამარცხონ.

***– ჯერ არ ვიცით, შეიძლება, დაამარცხონ კიდეც, მაგრამ მაინც გაუგებარია, რატომ სურთ უკრაინელ პოლიტიკოსებს საქართველოში ადამიანების სანქცირება?***

– გახსოვთ, უკრაინის მთავრობის ზოგიერთი წევრი რომ მოგვიწოდებდა, ახლა დროა (მათ შორის, ნაცმოძრაობიდანაც), აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შევიდეთო, ანუ უნდოდათ, რუსეთის წინააღმდეგ სადღაც ახალი ცეცხლის კერა გაჩენილიყო. თუ ახლა აფხაზეთში შევალთ, ბრძოლა აფხაზებთან კი არა, ბუნებრივია, რუსებთან მოგვიწევს. ეს უნდოდათ.

***– სამწუხაროდ, რუსეთი სათანადო დონეზე დასუსტებული არ არის. არც ჩვენი სახელმწიფოა მზად ომისთვის, თორემ, ტერიტორიების დასაბრუნებლად, ვთქვათ, რატომაც არა?***

– რატომაც არა, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ამ ეტაპისთვის ჩვენი სახელმწიფო მზად არ არის. მშვიდობა ყველაზე მთავარია. ომები 21-ე საუკუნეში მიუღებელია. რუსეთმა კატასტროფული შეცდომა დაუშვა, როდესაც უკრაინაში შეიჭრა და აგრესია განახორციელა. 6 თვეა, მდგომარეობა უცვლელია. და შეცდომაა, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან არ სხდებიან. ეს შეცდომები რუსეთს ძვირად დაუჯდება.

თუ უკრაინა და მისი პარტნიორები ძლიერები არიან, რუსეთი დაამარცხონ. ჩვენ საქართველოდან ვერავინ გაგვასახლებს და ძლიერი, გეენური, სატანა მეზობელი აღარ გვეყოლება. ძალიან კარგი იქნება, თუ ეს სხვისი ხელით გაკეთდება,

ჩვენ გიჟები არ ვართ, რუსეთს ვეომოთ მაშინ, როდესაც ამისთვის მზად არ ვართ. შიშველი ხელებით რუსეთს როგორ უნდა ვებრძოლოთ?! ამიტომ ჯობს, თავი შევიკავოთ და მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.

ხელისუფლების პოზიცია რუსეთთან, უკრაინასთან და მათ ომთან დაკავშირებით იდეალურად მიმაჩნია. მთავარია, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არ იყოს და არც არის. ეკონომიკური კრიზისი არის, მაგრამ ომი და უბედურებაა. იმედია, ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას მოახერხებს.

***– ნაცოპოზიცია ამბობს, რომ ქვეყანაში მხოლოდ ეკონომიკური კი არა, პოლიტიკური კრიზისიც არის და კრიზისის გამწვავებას შეეცდება.***

– ნაცოპოზიცია პოლიტიკური კრიზისის გამოწვევას ცდილობს.

***– სექტემბერში აქციებს აანოსებს და რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვს.***

– პოლიტიკური კრიზისი იქნება მაშინ, თუ ხალხი, თუნდაც სოციალური მოტივით, ქუჩაში გამოვა და საპროტესტო აქციებს დაიწყებს. დღეს არც არავინ გამოდის, ვინმე გადადგესო, არც არავინ გამოდის, მშიაო, ანუ ეკონომიკური პრობლემების გამო საპროტესტო აქციებს არავინ მართავს. ეს რთული მომენტია. არ ვიცი, ასე რატომ ხდება, მაგრამ ასეთი მოცემულობა გვაქვს. ამ მოცემულობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერის ინიციატივა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით კრახს განიცდის, ასრულება არ უწერია.

თუმცა, „ქართული ოცნების“ რეიტინგიც ძალიან დაბალია და ოპოზიციურ ველზე არსებული პარტიებისაც, მაგრამ, თუ რიგგარეშე არჩევნები იქნება, ეს მხოლოდ და მხოლოდ „ოცნებას“ აძლევს ხელს. 2023 წელს თუ არჩევნები ჩატარდა, „ოცნება“ პირწმინდად მოიგებს.

---

# პრინცი ჩარლზი გაერთიანებული სამეფოს მეფე გახდა

დედოფალ ელისაბედ II-ის გარდაცვალებისთანავე მისი ვაჟი, პრინცი ჩარლზი, გაერთიანებული სამეფოს მეფე გახდა.

მედიის ცნობით, ჩარლზს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს ნებისმიერი სახელი მეფობისთვის. მაგალითად, მეფე ჯორჯ VI-ის ნამდვილი სახელი ალბერტი იყო.

ამ წელს ჩარლზი უკვე ასრულებდა დედოფლის ზოგიერთ მოვალეობას, რადგან ელისაბედ II-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლეოდა.

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

# ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესი 4 ოქტომბრის ნაცვლად 20 სექტემბერს გაიმართება

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესი 4 ოქტომბრის ნაცვლად 20 სექტემბერს, 12:00 საათზე გაიმართება.

როგორც ნიკა გვარამიას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, პროცესის უფრო ადრე ჩატარების შესახებ ადვოკატებმა რამდენჯერმე თავად მიმართეს სასამართლოს, თუმცა, ახლა რატომ შეცვალა სასამართლომ გადაწყვეტილება, მისთვის უცნობია.

– ჩვენ მოთხოვნილი გვქონდა თარიღის ცვლილება. ჩვენ სასამართლო პროცესზევე დავაფიქსირეთ პოზიცია, რომ არ უნდა გაწელილიყო პროცესი და, კარგი იქნებოდა, თუ სასამართლო კანონით გათვალისწინებულ ვადებში ჩაჯდებოდა და გამოვთქვით ჩვენი უკმაყოფილება ოქტომბერში პროცესის გადატანასთან დაკავშირებით. ჩვენ მერეც მოვთხოვეთ სასამართლოს წერილობით მიმართვით, რომ მანამდე გამართულიყო სასამართლო სხდომა და დღეს გვაცნობეს, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, თარიღი უფრო ადრე გადმოწეულიყო, კერძოდ, სექტემბერში და გვაცნობეს, რომ პროცესი 20 სექტემბერს გაიმართება.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ მოხდა ასე და რატომ შეცვალა სასამართლომ გადაწყვეტილება პროცესის თარიღთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ამაზე წარმოდგენა არ მაქვს, – განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

# პოლიციის თანამშრომლის დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლის დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ი.დ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, სადახლოს გამშვებ პუნქტთან დააკავეს, რა დროსაც ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა 1990 წელს დაბადებული ლ.მ., რომელიც არის პოლიციის თანამშრომელი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი პოლიციელი შემთხვევის დროს სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა. იგი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე.

ლ.მ. ამჟამად მოთავსებულია სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# სასაზღვრო პოლიციამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისა და ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, წითელი ხიდის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „სადახლოს“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, სომხეთის რესპუბლიკის 2 მოქალაქე – 1998 წელს დაბადებული ა.ხ. და 1996 წელს დაბადებული დ.მ. დააკავეს.

ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, დაკავებულებს ბრალად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადმოკვეთა, ასევე, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და საქართველოში უკანონოდ შემოტანა ედებათ.

დანაშაულები 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოს მიმართულებით, ჯგუფურად, უკანონოდ გადმოკვეთეს სახელმწიფო საზღვარი და მართლსაწინააღმდეგოდ 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“ შემოიტანეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პროკურატურამ საბიუჯეტო თანხების მითვისების ფაქტზე საჯარო მოხელეს ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საბიუჯეტო თანხების მითვისების ფაქტზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტის საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის ყოფილ უფროსს ბრალდება წარუდგინა.

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებულმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების გამოყენებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ანგარიშიდან 4 547 ლარი საკუთარ ანგარიშზე გადარიცხა და მითვისა.

– გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 15 ივნისის წერილი, საბიუჯეტო თანხების მითვისებასთან დაკავშირებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების გამოყენებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ანგარიშიდან საკუთარ ანგარიშზე გადარიცხა და მითვისა 4547 ლარი. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებითა (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და 210-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება და გამოყენება) წარედგინა. პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# დააკავეს 63 წლის მამაკაცი, რომელმაც 12 წლის ბავშვზე სექსუალურად იძალადა

გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა შიდა ქართლში არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით 1959 წელს დაბადებული ნ.ბ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა მეზობლად მცხოვრებ არასრულწლოვან გოგონაზე სექსუალურად იძალადა.

– პოლიციამ ნ.ბ., ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულის სახით დააკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

დანაშაული 15-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პატიმრობიდან გათავისუფლებული 5 ივლისის საქმეზე დაკავებული ისევ ჟურნალისტებს ემუქრება

5 ივლისის საქმეზე დაკავებული ზაზა მჭედლიძე თავისუფალია. ის გუშინ გორში გამოჩნდა და კრიტიკული მედიის ჟურნალისტებზე კვლავ თავდასხმა ცადა.

რადიკალი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა „მთავარი არხის“, „ფორმულასა“ და „ტვ პირველის“ გადამღები ჯგუფების მიმართ.

მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა „მთავარი არხისა“ და „ფორმულას“ კორესპონდენტებს, ხოლო „ტვ პირველის“ რეპორტიორს პირდაპირი ჩართვის დროს მიკროფონი დაუზიანა.

„შეხედეთ, რას ჰგავს. მე არ მიცნობ? კარგად შემომხედე“, – მიმართავდა ზაზა მჭედლიძე „მთავარის“ კორესპონდენტ გიორგი ახალკაცს.

# კრიმინალური პოლიცია ქვეყნის მასშტაბით ჩვილების საფლავებს ეძებს

კრიმინალური პოლიცია ქვეყნის მასშტაბით ჩვილების საფლავებს ეძებს. გაყიდული ბავშვების საქმეზე დაკითხვების შემდეგ საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო. არსებობს ეჭვი, რომ ათასობით ბავშვი, რომლებიც სამშობიაროში გარდაცვლილად გამოაცხადეს და მშობლებს უთხრეს, რომ ჩვილების სასაფლაოზე დაკრძალეს, ცოცხლები არიან და ისინი ექიმებმა გაყიდეს.

მშობლებმა, რომლებმაც შვილები წლების წინ გამოიგლოვეს, იუსტიციის სახლის არქივებში ქექვის შემდეგ ახლა აღმოაჩინეს, რომ ჩვილები კლინიკებიდან ცოცხლები გაწერეს. უბრალოდ, მათ გვარები შეუცვალეს. ახლა მტკიცებულებებით შეიარაღებული ხალხის ჯარი პოლიციაში დაკითხვაზე დაბარებას ელოდება.

# ახმეტაში 16 წლის ბიჭი ძიუდოს დარბაზში ვარჯიშის დროს დაიღუპა

უბედური შემთხვევა ახმეტის მუნიციპალიტეტში – ვარჯიშის დროს 16 წლის ბიჭი დაიღუპა. სოფელ დუმასტურში, ძიუდოს დარბაზში, მოზარდმა, სავარაუდოდ, ქალის ფუძის ტრავმა მიიღო და გარდაიცვალა.

მოზარდი სოფელ ქისტაურიდანაა.

– დუმასტურში მამას ჰყავდა წაყვანილი სავარჯიშოდ. ძიუდოს დარბაზია იქ. ვარჯიშის დროს, სავარაუდოდ, კისრის ტრავმა მიიღო და მამის თვალწინ დაიღუპა, – ყვებიან სოფელში.

# ჩვილი, რომელიც დიღომში აფეთქებისას დაშავდა, გარდაიცვალა

ე.წ. ბენდუქიძის დასახლებაში აფეთქების შედეგად დაშავებული 1 წლამდე ბავშვი გარდაიცვალა. ინფორმაცია „პირველებს“ იაშვილის კლინიკაში დაუდასტურეს.

ჩვილი მთელი ამ დროის განმავლობაში ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.

დიდ დიღომში აფეთქება პირველ სექტემბერს, გამთენიისას მოხდა. მიზეზი, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა. შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა.

ჩვილის დედა, 30 წლამდე ქალი, ხეჩინაშვილის კლინიკაშია მოთავსებული.

# ვინ არის 32 წლის მამაკაცი, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეში ახალგაზრდა მამაკაცი მოულოდნელად გარდაიცვალა. გარდაცვლილი 32 წლის რევაზ სიგუაა.

ადგილობრივების თქმით, ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, თრომბია.

– შეძრული ვართ ამ ტრაგედიით. სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, ჩვენი რევაზი დაიღუპა. საშინელებაა... ორი დღის წინ დაბადების დღე გადაიხადა, 32 წლის გახდა და ახლა მოულოდნელად გავიგეთ ეს თავზარდამცემი ამბავი. სასწრაფო დახმარების ბრიგადა დროულად მოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა, – ამბობენ ადგილობრივები.

გარდაცვლილს მეუღლე და ერთი შვილი დარჩა.

# დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე გარდაიცვალა

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინფორმაციას ბრიტანული მედია ბუკინგემის სასახლეზე დაყრდნობით ავრცელებს.

ელისაბედ II ტახტზე 70 წლის წინ, 1952 წელს ავიდა და ის ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი დროით მმართველობის სტატუსის მქონე მონარქია. ელისაბედ მეორე, გაერთიანებული სამეფოს გარდა, კიდევ 14 დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მათ შორის კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მეთაური იყო.

# ენტონი ბლინკენი კიევში ჩავიდა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი მოულოდნელი ვიზიტით კიევში ჩავიდა. ამის შესახებ უკრაინული მედია ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით წერს.

მათივე ცნობით, ვიზიტის ფარგლებში, რომლის მიზანიც აშშ-ის მხარდაჭერის დემონსტრირებაა, ამერიკელი მაღალჩინოსანი შეხვედრებს გამართავს უკრაინელ ოფიციალურ პირებთან.

ამასთან, ღეუტერს-ის ცნობით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი გამოაცხადებს 2 მილიარდი დოლარის მოცულობის სამხედრო დაფინანსების შესახებ უკრაინისა და 18 სხვა სახელმწიფოსთვის, რომლებსაც მომავალში შესაძლოა რუსეთის აგრესია დაემუქროთ.

# ხერსონში, ფრონტის ხაზთან, საბრძოლო მოქმედების გაშუქებისას იტალიელი ჟურნალისტი დაიჭრა

ხერსონში დამოუკიდებელი იტალიელი ჟურნალისტი მატია სორბი დაიჭრა, როდესაც ის ფრონტის ხაზთან ბრძოლას აშუქებდა.

როგორც იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, ჟურნალისტი საოპერაციოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. მათივე ცნობით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ამასთან, იტალიის საგარეო უწყება აცხადებს, რომ ისინი სორბისთან კავშირზე არიან და მუშაობენ მის იტალიაში მალე დაბრუნებაზე.

მატია სორბი რამდენიმე იტალიური გაზეთის თანამშრომელია.

შეგახსენებთ, უკრაინამ გასულ კვირას განაცხადა, რომ ხერსონში რამდენიმე მიმართულებით შეტევა წამოიწყო და სტრატეგიული მიზეზების გამო აგრძელებს „დუმილის რეჟიმს“, ჟურნალისტებს კი დროებით აეკრძალათ სამხრეთის ფრონტზე გამგზავრება.

# აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი: „უკრაინაში ომისთვის რუსეთი „ძალიან მძიმე ფასს“ გადაიხდის“



აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) დირექტორ უილიამ ბერნსის განცხადებით, რუსეთი „ძალიან მძიმე ფასს“ გადაიხდის უკრაინაში ომისთვის.

„გამოაშკარავდა არა მხოლოდ რუსული არმიის სისუსტე, არამედ ამის შედეგად რუსეთის ეკონომიკასა და რუსების თაობებს გრძელვადიანი ზიანი მიადგებათ“, – აღნიშნა ბერნსმა.

ამერიკული მედიის ცნობით, ბერნსმა აღნიშნული კომენტარი მას შემდეგ გააკეთა, რაც უკრაინამ კონტრშეტევა დაიწყო ქვეყნის სამხრეთ ნაწილსა და ხარკოვში.

# აშშ-მ უკრაინისთვის 675 მილიონი აშშ დოლარის სამხედრო დახმარება დაამტკიცა

„აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინისთვის დამატებითი 675 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების დახმარება დაამტკიცა“, – ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა გერმანიაში შეერთებული შტატების „რამშტეინის“ ავიაბაზაზე მოკავშირე ქვეყნების მაღალჩინოსნებთან შეხვედრის დასაწყისში განაცხადა.

მისი თქმით, დახმარების უახლესი პაკეტი მოიცავს ჰაუბიცებს, საარტილერიო საბრძოლო მასალებს, მაღალი მობილობის მრავალფუნქციურ ბორბლებიან მანქანებს, ტანკსაწინააღმდეგო სისტემებსა და სხვა.

ოსტინმა განაცხადა, რომ ომში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან უკრაინული ძალები იწყებენ კონტრშეტევას ქვეყნის სამხრეთით.

– ახლა ვხედავთ ჩვენი საერთო ძალისხმევის ცხად წარმატებას ბრძოლის ველზე. ომის სახე იცვლება და ასევე იცვლება ამ საკონტაქტო ჯგუფის მისია, – განაცხადა ოსტინმა უკრაინის თავდაცვის საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი და უკრაინის თავდაცვის მინისტრი, ასევე მოკავშირე ქვეყნების სხვა ოფიციალური პირები.

– ჩვენ უნდა შევიცვალოთ ბრძოლის ცვლილების შესაბამისად, – აღნიშნა ოსტინმა.

# ბელარუსმა პოლონეთის საზღვართან ახლოს სამხედრო წვრთნები დაიწყო

ბელარუსმა პოლონეთის საზღვართან ახლოს სამხედრო წვრთნები დაიწყო. ბელარუსის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, წვრთნები ერთდროულად ბელარუსის დედაქალაქ მინსკთან, პოლონეთის საზღვართან ახლოს მდებარე ქალაქ ბრესტსა და ვიტებსკის რაიონებში დაიწყო.

როგორც ცნობილია, სამხედრო წვრთნები 14 სექტემბრამდე გაგრძელდება. ბელარუსის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ წვრთნები ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად მიმდინარეობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მძარცველებმა შიშველი საყვარლები მანქანიდან გადმოყარეს და მანქანა გაიტაცეს

ბრაზილიაში მძარცველებმა მანქანიდან ქუჩაში გადმოყარეს შიშველი საყვარლები, ხოლო მათი ავტომობილი გაიტაცეს.

აღნიშნული შემთხვევა ქუჩის სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. კადრებში ჩანს, რომ მყუდრო ქუჩაზე გაჩერებულ მანქანას სამი პიროვნება უახლოვდება. ისინი ძალის გამოყენებით აღებენ კარებს. ერთი მათგანი იხრება საჭისკენ, მეორე კი მძღოლის სავარძლის გვერდით სავარძელში ჯდება.

მოულოდნელად, მანქანის უკანა კარიდან ქუჩაში აღმოჩნდება სრულიად შიშველი წყვილი, რომლებიც უკანა სავარძელზე სექსით იყვნენ დაკავებულნი. ამის შემდეგ მესამე მძარცველი უკანა სავარძელზე ჯდება და შიშველ წყვილს მათ ტანსაცმელს უყრის.

როდესაც გატაცებული ავტომობილი თვალს მიეფარა, წყვილმა თავიანთი ტანსაცმელი ასფალტიდან აიღო და სწრაფად ჩაცმა დაიწყო.

დაკავებულები არიან თუ არა მძარცველები და მიმართა თუ არა დახმარებისთვის პოლიციას წყვილმა, უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# ხვიჩას დებიუტი და ლევანდოვსკის ჰეთ თრიკი

ჩემპიონთა ლიგაში პირველი ტურის მეორე სათამაშო დღე ნაკლებად სენსაციური გამოდგა, მაგრამ მოულოდნელი ანგარიშები ამჯერადაც დაფიქსირდა.

**A ჯგუფი**

**ნაპოლი-ლივერპული 4:1**

**1:0 ჟილინსკი (5პ), 2:0 ანგისა (31), 3:0 სიმეონე (44), 4:0 ჟილინსკი (47), 4:1 ლუის დიასი (49)**

**მე-18 წუთზე ოსიმენმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)**

ჩემპიონთა ლიგაში ხვიჩა კვარაცხელიას ნათლობა შედგა და ჩვენებურმა ჩვეულად გაიბრწყინა. მის შესახებ ცალკე ამავე ნომერში წერია, ახლა კი თამაში:

ნეაპოლელებმა პირველივე ტაიმში სამი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხვიჩამ სამივე გოლში გარკვეული მონაწილეობა მიიღო, ხოლო მესამე გოლი მოედანზე „დახატა“.

გარდა ამისა, უამრავი საგოლე მომენტი, გაცუდებული 11-მეტრიანი... ფაქტობრივად, ლივერპულმა ნეაპოლიტანელებს ვერაფერი დაუპირისპირა.

მეორე ტაიმში გუნდებმა გოლები გაცვალეს და სულ ეს იყო...

**აიაქსი-ჩეინჯესი 4:0**

**1:0 ალვარესი (17), 2:0 ბერგჰუისი (32), 3:0 კუდუსი (33), 4:0 ბერგვეინი (80)**

აიაქსმა 4:0 გაანადგურა რეინჯერსი და პირველი 3 ქულა მიითვალა. მატჩის ბედი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გადაწყდა, როდესაც ნიდერლანდელებმა სამი გოლი შეაგდეს.

ალვარესის, ბერგჰუისისა და კუდუსის გოლებს მეორე ტაიმში ბერგვეინმა დაუმატა და ამსტერდამელებმა ლიგა ხმაურიანად დაიწყეს.

**B ჯგუფი**

**ბრიუგე-ლევერკუზენი 1:0**

**1:0 სილა (42)**

ბელგიელების გამარჯვება სენ-

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

# კალათბურთელთა ცუდი ევროპა — საქართველო ჯგუფში ჩარჩა

## საქართველო-ჩერნოგორია 73:81

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევრობასკეტი ჯგუფურ ეტაპზე დაასრულა. ჩვენს გუნდს მერვედფინალში გასვლის კარგი შანსი ჰქონდა – შინ ჩერნოგორია უნდა დაემარცხებინა, მაგრამ 73:81 წააგო.

ამგვარად, ა ჯგუფიდან ფლეი ოფში ესპანეთი, თურქეთი, ბელგია და ჩერნოგორია გავიდნენ. ბარიერი საქართველომ და ბულგარეთმა ვერ გადალახეს.

რაც შეეხება მატჩს, ჩერნოგორიამ ამ ევრობასკეტზე კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ შეკრული და ხარისხიანი გუნდია. თავის მხრივ, საქართველომაც შეცდომებით ითამაშა, მაგრამ ბოლო წუთებამდე თანაბარი ბრძოლა ვიხილეთ.

მეოთხე პერიოდის დასაწყისში მონტენეგროელები დუბლიევიჩის სამქულიანით 9 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ – 61:52. ეს იყო ყველაზე დიდი სხვაობა მატჩში. თუმცა საფინალო სირენამდე 3:20 წუთით ადრე სანდრო მამუკელაშვილმა ანგარიშში სხვაობა სამამდე შეამცირა – 62:65.

მანამდე მონტენეგროს ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო გამოაკლდა ლიდერი ბოიან დუბლიევიჩი, რომელიც ფარქვეშაც სახიფათო იყო და პერიმეტრიდანაც.

დანაკლისის მიუხედავად, ბოლო წუთებზე მონტენეგროელები უკეთ გამოიყურებოდნენ, გააზრებული თამაშით უპირატესობა შეინარჩუნეს და დამსახურებულად გავიდნენ მერვედფინალში, სადაც სლოვენიას შეხვდებიან.

საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი ქულა თად მაკფადენს ჰქონდა – 17, სანდრო მამუკელაშვილმა ორმაგი დუბლი შეასრულა – 15 ქულა, 10 მოხსნა. შერმადინმა და სანაძემ 14-14 ქულა მიითვალეს. ჩერნოგორიაში 22 ქულით იგორ დრობნიაკი გამოირჩა.

ამ შეხვედრით დასრულდა ევრობასკეტის ა ჯგუფი, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა. სამწუხაროდ, ჩვენმა ნაკრებმა ვერ მოახერხა ბერლინში დაგეგმილ ფლეი ოფში მოხვედრა და ტურნირში ასპარეზობას გამოეთიშა.

**ილიას ზურუნი:**

– ჩვენთვის ძალიან რთული მომენტია. სამწუხაროდ, მეტოქეს შეტევაში 15 მოხსნა ჰქონდა. შედეგად 17 ქულა ჩაგვიგდეს, ბოლო წამებზე კი 10 აიღეს. მეორე მხრივ, კალათბურთელები ძალიან ეცადნენ, შეცდომები იყო, მაგრამ ბოლომდე იბრძოლეს. მადლობა ფანებს და ბოდიში, რომ ვერ მოვახერხეთ ფლეი ოფში გასვლა. ზაფხულში ბევრი რამ მოხდა, მილიონი პრობლემა შეგვექმნა. თოკო შენგელია ტურნირამდე 1 კვირით ადრე დავკარგეთ. ის უმნიშვნელოვანეს მომენტებში დაგვაკლდა. დარწმუნებული ვარ, თუნდაც ჩერნოგორიასთან შენგელიას ყოფნა ძალიან ბევრ რამეს შეცვლიდა. ბევრი ახალგაზრდა და გამოუცდელი კალათბურთელი გვყავს, მაგრამ თავი არ დაუზოგავთ. ტირილი არ უნდა დავიწყოთ, საქმე უნდა გავაგრძელოთ, თავი ავწიოთ და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე კარგად ვითამაშოთ. ყველას მადლობა, ნაკრების მთელ შტაბს. მათ ძალიან ბევრი იშრომეს.

კარგი მხოლოდ ის იყო, რომ ახალგაზრდებმა ასეთ ტურნირს გემო გაუგეს. გოგა ბითაძე შეჯიბრების დაწყებამდე 3 დღით ადრე შემოგვიერთდა, მაგრამ სრულად მაინც არ უთამაშია. სანდრო მამუკელაშვილისთვის ეს ნაკრებთან ერთად პირველი ტურნირი იყო. რატი ანდრონიკაშვილმა სათამაშო წუთები მიიღო. ამ ბიჭებისგან მომავალში მეტს ველოდებით. მათ საკუთარ შეცდომებზე უნდა ისწავლონ.

გიორგი შერმადინის მსგავსი კალათბურთელები ახალგაზრდებს გამოცდილებას უზიარებენ, თუმცა მეტი ახალგაზრდა გვჭირდება. სუპერლიგიდან 1 გუნდი მაინც უნდა თამაშობდეს ევროპაში, რადგან აქ მოთამაშე კალათბურთელებს სათანადო გამოცდილება არ აქვთ. მათთვის 10.000 ადამიანის წინაშე თამაშის ზეწოლასთან გამკლავება ადვილი არაა, რადგან შიდა ჩემპიონატში არც ისე ბევრი ფანის თანდასწრებით გამოდიან.

ნოემბერში ისლანდიასა და იტალიასთან მატჩზე საუბარი ნაადრევია. არ ვიცით, ნაკრებში ვინ იქნება. მთავარია, ყველა ჯანმრთელად იყოს. ძალიან მნიშვნელოვანია თორნიკეს საკითხი, მოასწრებს თუ არა გამოჯანმრთელებასა და გუნდში თამაშს. მასთან ერთად სხვა ნაკრები იქნება და ამ ფანჯარაში მაგრად უნდა ვითამაშოთ. სამწუხაროდ, ამ ეტაპზეც არ გაგვიმართლა. ჩემი გუნდის მჯერა, უნდა გავაგრძელოთ თამაში, რაც შეიძლება მეტი მატჩი მოვიგოთ და ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდეთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ჩელსიმ და ლაიფციგმა მწვრთნელები იპოვეს

ჩემპიონთა ლიგის პირველივე მატჩებმა ორი მწვრთნელი უკვე შეინირა. ლონდონის ჩელსიმ და ლაიფციგმა გუნდის დამრიგებლები დაითხოვეს.

ლონდონელებმა ტომას ტუხელის შემცვლელს მალევე მიაგნეს. ეს იქნება ბრაიტონის მთავარი მწვრთნელი გრემ პოტერი.

ბრიტანული მედიის ცნობით, ბევრისთვის აქამდე უცნობ მწვრთნელსა და ლონდონური კლუბის მესვეურთა შორის სიტყვიერი შეთანხმება შედგა. კონტრაქტი ხანგრძლივი იქნება, მაგრამ კონკრეტული დეტალები ჯერ უცნობია.

პოტერის სანაცვლოდ ჩელსი ბრაიტონს კომპენსაციის სახით 23 მილიონ ევროს გადაუხდის, ხოლო აწ უკვე გათავისუფლებულ ტუხელს – 10 მილიონს.

47 წლის პოტერი 2019 წლიდან ბრაიტონის მწვრთნელია, მანამდე კი სუონსი სიტისა და შვედური ოსტერსუნდის დამრიგებელი იყო.

შეგახსენებთ, რომ ლონდონის ჩელსიმ პრემიერლიგის ექვს ტურში მხოლოდ 10 ქულა მოიპოვა, ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში კი ზაგრების დინამოსთან დამარცხდა, რის შედეგადაც ტომას ტუხელი გაათავისუფლეს.

ჩემპიონთა ლიგაში დონეცკის შახტართან 1:4 წაგების შემდეგ გერმანულმა ლაიფციგმა დომენიკო ტედესკო გაათავისუფლა. გერმანული კლუბის ხელმძღვანელობას ახალი მწვრთნელის მოსაძებნად დიდი დრო არ დაუკარგავს და ამ პოსტზე დორტმუნდის ბორუსიის ყოფილი დამრიგებელი მარკო როზე დანიშნეს. ინფორმაცია კლუბის ვებგვერდმა დაადასტურა.

მარკო როზემ კლუბთან კონტრაქტი 2024 წლის ზაფხულამდე გააფორმა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# სამგლოვიარო განცხადებები

თსს უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კლინიკის ეკონომიკური სამსახურის თანამშრომელს ქეთინო ფანქველაშვილს დედის

**ციალა შარუხიას**

გარდაცვალების გამო.

ამირან ლაზარიაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**მიხეილ (მიშიკო) ლეჟავას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ვაჟა, ბიძინა და გელა გიგაურები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბიძაშვილის, თინათინ გიგაურის მეუღლის

**მიხეილ (მიშიკო) ლეჟავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კვარაცხელიამ ევროპაც აალაპარაკა



ნაპოლიმ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში ლივერპულს უმასპინძლა და 4:1 გაანადგურა. მართალია, ხვიჩას გოლი არ გაუტანია, მაგრამ გუნდის წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი იყო. ჩვენებურმა მარცხენა ფლანგზე საუკეთესო მარცხენა მცველად შერაცხული ტრენტ ალექსანდერ-არნოლდი მოედნიდან „გააქრო“.

ეს ჩვენი პირადი აზრი არ არის – აპენინური გაზეთები კვარას ფოტოებით იწყება და სათაურები? ჯუნტოლის საოცარი სვლა 10 მილიონად; მაგიური კვარა სხვა სამყაროდან.

ამონარიდები იტალიური მედიიდან:

**ტუტონაპოლი, 8 ქულა:**

– ვინც შეშინებული იყო ჩემპიონთა ლიგაზე მისი გამოუცდელობით, ცდებოდნენ: მისთვის არაფერი იცვლება, მეტოქეებს ისევ ისე ატყუებს, როგორც სერია ა-ში. თითქმის ყველა სახიფათო შეტევა დაიწყო. გასაოცარი იყო მესამე გოლის მომენტში, როდესაც სიმეონეს ბურთი მხოლოდ ბადეში უნდა მოეთავსებინა. კვარაცხელიას ყველაფერი აქვს: ხარისხი ვიწრო სივრცეებში, ფიზიკური ძალა და თავდაცვითი უნარებიც. როგორც კი დაკარგა სიმწვავე, სპალეტიმ შეცვალა.

**კალჩომერკატო, 7.5:**

– ქართველი ჩემპიონთა ლიგაზეც სცენაზეა. გომესი ვერ ახერხებდა მასთან დაპირისპირებას, როცა ეს გააკეთა, ყოველთვის ინგლისელი მარცხდებოდა. სიმეონეს საგოლე პასის მომენტში მისი მოქმედება ნამდვილი ჩემპიონის თამაში იყო.

**კალჩონაპოლი, 8:**

– კვარაცხელიამ ისევ იფეთქა. 28-ე წუთზე ცარიელ კარში ვან დეიკმა ჩაახშო „მარადონას“ ყვირილი, მიიღო მონაწილეობა მეორე გოლში და მესამე გოლზე ორი წარმოუდგენელი დრიბლინგი შეასრულა. ალექსანდერ-არნოლდი დააპატარავა.

თუ ქართველი ფეხბურთელი აქამდე იტალიელებს „აგიჟებდა“, ახლა უკვე სრულიად ევროპა მასზე საუბრობს.

საფეხბურთო ლეგენდები ქართველი ფეხბურთელის თამაშით აღფრთოვანებას ვერ მალავენ. მარტო მათი გვარების ჩამონათვალიც საკმარისია – მაიკლ ოუენი, ტიერი ანრი, გარი ლინეკერი, კლარენს ზეედორფი, ეზეკიელ ლავეცი...

**მაიკლ ოუენი:**

– გარდა იმისა, რომ ნაპოლიმ დიდი ანგარიშით მოიგო, გაცუდებული პენალტიც არ უნდა დაგვავიწყდეს. კვარაცხელიამ კი ლივერპულის მარცხენა ფლანგი, უბრალოდ, ჩამოშალა და მე-3 გოლი მისი დამსახურებით გავიდა.

**ტიერი ანრი:**

– რა ჰქვია ამ ბიჭს? „კვარადონა“? მან ლივერპულს საკუთარი ადგილი მიუჩინა. რა თქმა უნდა, ძალიან ტექნიკურია, მაგრამ გულშემატკივარს მხოლოდ ამის გამო არ უყვარს – ის გუნდს რაღაც სხვას, განსაკუთრებულს სძენს.

**გარი ლინეკერი:**

– საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელია. მისი თამაში უქმეებზე ლაციოს წინააღმდეგ ვნახე. შესანიშნავი იყო. მის წინააღმდეგ თამაში ისევე რთულია, როგორც მისი გვარის წარმოთქმა.

**კლარენს ზეედორფი:**

– ამ საღამოს „სტადიო მარადონაზე“ ყველა კონტური დავინახეთ, რასაც ნაპოლისგან ვითხოვდით. ჩემგან ბევრი კომპლიმენტი სპალეტისა და მის ბიჭებს. მათ დიდი პოტენციალი აჩვენეს. კვარაცხელიას მტკიცე ხასიათი და სითამამე აქვს. მათ კიდევ შეეძლოთ მეტოქისთვის საფრთხის შექმნა. ვულოცავ ნაპოლის ყველა ფეხბურთელს.

**ეზეკიელ ლავეცი:**

– კვარაცხელიამ დიდებული და მაღალი ხარისხის მატჩი ჩაატარა, ისევე, როგორც ყველა სხვა ფეხბურთელმა, მაგრამ მან უშიშრად ითამაშა. ამ ბიჭს კლასი და ტექნიკა აქვს.

ჩემპიონთა ლიგაში ნაპოლი მომდევნო შეხვედრას 13 სექტემბერს გლაზგოში რეინჯერსის წინააღმდეგ გამართავს, ხოლო მანამდე, 10 სექტემბერს, იტალიის სერია ა-ში სპეციას წინააღმდეგ ითამაშებს.

# ხვიჩას დებიუტი და ლევანდოვსკის ჰეთ თრიკი

**დასაწყისი მე-6 გვერდზე**

საციას შეგვიძლია მივაკუთვნოთ, მაგრამ ბრიუგესგან მსგავსი ხმაურიანი გამარჯვებები გვახსოვს. ასე იყო ამჯერადაც – სილას გოლით ბელგიელებმა სამი ქულა ჩაიწერეს აქტიფში და მეტოქეებს აგრძნობინეს, რომ სტატისტის როლში ყოფნას არ აპირებენ.

**ატლეტიკო-პოჩტუ 2:1**

**1:0 ერმოსო (90), 1:1 ურიბე (90პ), 2:1 გრიზმანი (90)**

**გაძევება: ტარემი (პორტუ)**

საოცრად დრამატული შეხვედრა მოიგო მადრიდის ატლეტიკომ. მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეორე წუთზე „როხიბლანკო“ ჰერმოსომ დააწინაურა, რასაც 4 წუთში ურიბემ პენალტით უპასუხა და წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მსაჯის კომპენსირებული დროის მე-11 წუთზე ანტუან გრიზმანმა დიეგო სიმეონეს გუნდს მაინც მოაგებინა.

**C ჯგუფი**

**ინტერი-ბაიერნი 0:2**

**0:1 სანე (25), 0:2 დამბროზიო (66სკ)**

ჯგუფის ცენტრალური მატჩი მილანში ინტერსა და ბაიერნს შორის შედგა, მაგრამ გერმანელებმა იოლად მოიგეს.

პირველ ტაიმში ლეროი სანემ გაიტანა, ხოლო მეორე ნახევარში დანილო დაბროზიომ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

**ბარსელონა-პიზენი 5:1**

**1:0 კესი (13), 2:0 ლევანდოვსკი (34), 2:1 სიკორა (44), 3:1, 4:1 ლევანდოვსკი (45, 67), 5:1 ფ.ტორესი (71)**

ამავე ჯგუფში ბარსელონამ ჩეხური პლზენი 5:1 გაანადგურა, მაგრამ აქ მთავარი რობერტ ლევანდოვსკის ჰეთ თრიქია. პოლონელმა ესპანურ გრანდში სადებიუტო თამაში ჩაატარა და დიდებულად დაიწყო.

**D ჯგუფი**

**აინტრახტი-სპორტინგი 0:3**

**0:1 ედვარდსი (65), 0:2 ტრინკაო (67), 0:3 სანტოსი (82)**

უგოლო და მოსაწყენი პირველი ტაიმის შემდეგ პორტუგალიელებმა გაილაღეს და აინტრახტს დაანახეს, რომ ევროპის ლიგასა და ჩემპიონთა ლიგას შორის სოლიდური სხვაობაა.

სპორტინგმა შესვენების შემდეგ უშანსოდ დატოვა ევროპალიგის გასული სეზონის გამარჯვებული.

**ტოტენჰემი-მახსელი 2:0**

**1:0, 2:0 რიჩარლისონი (76, 81)**

**გაძევება: მბემბა (მარსელი)**

თანაბარი თამაშის დროს მარსელი მოედანზე კაცნაკლული დარჩა და ტოტენჰემმა სათამაშო უპირატესობა ხელთ იგდო, რაც ბოლოსკენ გოლებშიც ასახა. მასპინძელთაგან დუბლი რიჩარლისონმა გაახერხა.

# ჯოსვოხდი ბ



**შვეულად:** 2. მოქმედი ვულკანი ანტარქტიდაში; 3. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 4. რაიმე საქმეში, პროექტში კაპიტალის დამბანდებელი პირი; 5 საჯარისო შენაერთი; 6. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 8. სისხლის თეთრი ბურთულების წარმომქმნელი შინაგანი ორგანო; 11. რაიმე ცნების, იდეის პირობითი ნიშანი; 14. კარსტულ მღვიმეში ძირიდან აღმართული კონუსისებრი სვეტი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ვარდების ბაღი; 17. სახალხო თავყრილობა ძველ რომში; 19. ლირიკული სიმღერა; 21. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 22. ფშავ-ხევსურეთის ძველებური სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 5. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 7. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისთვის ძველ საბერძნეთში; 9. ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი; 10. ნიდერლანდური ლუდი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 13. ჟანგბადის ნაკლებობა ორგანიზმში; 16. ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 17. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 20. რაიმე სიდიდეების გრაფიკულად გამოსახული შეფარდება; 22. იტალიური ავტომობილი; 23. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 24. ქართული რადიო; 25. დენის ძაბვის საზომი ერთეული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლონდონი; 2. კომუნიკე; 3. ტიბეტი; 4. გაუდა; 5. ცინიკოსი; 8. კერამიკა; 12. აკრი; 13. სათაფლია; 14. პიროგა; 16. კანიონი; 18. ოხორი; 20. მოკო.

**თარაზულად:** 6. სომბრერო; 7. ერისთავი; 8. კაბურა; 9. დორსე; 10. დინამიკა; 11. კლიასერი; 15. ტაქიკარდია; 17. მინდია; 19. გრამაფონი; 21. პლეიბოი; 22. ბალატიორი; 23. კონსული.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ფუტზალი; 3. გენერალი; 4. აგრონომია; 5. კლიპი; 6. იყალთო; 8. პიროგა; 11. დებიუტი; 14. ალადასტური; 15. როლგანგი; 16. პოლინეზია; 17. სამაია; 19. ლოზუნგი; 21. ყანნი; 22. იპონი.

**თარაზულად:** 1. იფიგენია; 5. კოლი; 7. გოპაკი; 9. სტენოკარდია; 10. ანდერძი; 12. ათაბაგი; 13. ჯამბაზი; 16. პატრიოტი; 17. სუვა; 18. პლაზა; 20. პლასტიკა; 22. იანძი; 23. პუბლიკა; 24. ზუროსი; 25. წყარო.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8543

ევრო — 2.8572

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2882

100 რუსული რუბლი — 4.6907

## ამინდის პროგნოზი 9 სექტემბრისთვის

## ხავი: „თითქმის იდეალური შეხვედრა ჩავატარეთ“



ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში საკუთარ მოედანზე პლზენი დაამარცხა 5:1 და მატჩის შემდეგ ხავი კმაყოფილებას არ მალავდა. ხავის თქმით, ბარსელონა თავის ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება: „ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რაც ვიხილე და მინდა, რომ ჩემმა გუნდმა ასე გააგრძელოს. ჩემპიონთა ლიგა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.

## დიეგო სიმეონე: „ასეთი გამარჯვებები გვაძლიერებს“

მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა პორტოსთან გამარჯვების შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ხასიათი გამოავლინა და ეს გამარჯვება ამის გამო უფრო ღირებულია: „გულშემატკივარს ჩვენი ბოლომდე სჯეროდა, ამიტომ ეს ტრიუმფი სწორედ მათ ეკუთვნით. მინდა, რომ ატლეტიკომ გამარჯვებების სერია გააგრძელოს და სეზონი ტიტულის გარეშე არ დავასრულოთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ზვიგენმა ქალი დამსვენებლების თვალწინ დაკბინა

ოაიას ყურეში, აშშ-ის ჰავაის კუნძულ მაუის პლაჟზე მყოფი დამსვენებლების თვალწინ ზვიგენი ქალს თავს დაესხა და დაკბინა.

მტაცებელი თევზი 51 წლის ქალს დაესხა თავს, რომელიც საფრანგეთის მოქალაქე აღმოჩნდა. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ის ნაპირიდან დაახლოებით 100 მეტრში წყლის ქვეშ ჩასაყვინთი მოწყობილობებით დაცურავდა. დამსვენებლებმა შენიშნეს, რომ მას დახმარება სჭირდებოდა, ნაპირზე ამოიყვანეს და სამაშველო სამსახური გამოიძახეს.

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ თავდასხმის შემდეგ ხელისუფლებამ პლაჟი დახურა, ხოლო დამსვენებლებს წყალში შესვლისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

## მამაკაცმა მასზე თავდამსხმელ კობრას უკბინა

ინდოეთის ოდიშას შტატში მამაკაცმა გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა კობრასთვის, რომელიც მას თავს დაესხა და დაგესლა. საპასუხოდ მან ქვეწარმავალს თავადაც უკბინა.

სალიმ ხანი ბრინჯის ყანაში მუშაობდა, როდესაც კობრა თავს დაესხა. იმის ნაცვლად, რომ სამედიცინო დახმარებისთვის მიემართა, მან ქვეწარმავალი დაიჭირა და უკბინა, შემდეგ კი მოკლული კობრა კისერზე ჩამოიკიდა.

ამის შემდეგ ხანი სოფელში დაბრუნდა და კისერზე ჩამოკონწიალებული რეპტილიით ქუჩებში დასეირნობდა. მან გაოცებულ თანასოფლელებს განუცხადა, რომ კობრას კბენისთვის სამაგიერო გადაუხადა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომხდარის შემდეგ მამაკაცი თავს მშვენივრად გრძნობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 9 სექტემბრისთვის

**ვერძი** – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

თავგატეხილი მამაკაცი საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმი ეკითხება:

– ცოლიანი ხართ?

– არა, ავარიაში მოვყევი...

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– რას ფიქრობ, მეგობრულ სექსზე?

– თუ ეს შეკითხვაა – ნეგატიურად, ხოლო თუ წინადადება – თანახმა ვარ!

●●●

ერთი მეგობარი კროსვორდს ავსებს და მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, მანგოს სამშობლო?

– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჩაწერე მონღოლეთი.

●●●

ქუჩაში მამაკაცი შემთხვევით ქალს დაეჯახა და მოუბოდიშა:

– მაპატიეთ, შემთხვევით მომივდა.

– სწორედ ეგ მაცოფებს!

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– სულელი ხარ!

– სამაგიეროდ, ლამაზი ვარ.

– ეგ ვინ გითხრა?

– შენ...

– და შენც დაიჯერე?!

– რა თქმა უნდა!

– ჰოდა სულელი ხარ!

– სამაგიეროდ, ლამაზი!

●●●

მამა-შვილმა რუსული მანქანა იყიდა და ერთ კვირაში გაგრილების სისტემა გაითიშა.

ავტოფარეხში მანქანის შეკეთებლად შესულმა მამამ მანქანის შეკეთების სახელმძღვანელო აიღო და შვილს ეუბნება:

– აი, ნახე, შვილო, ამიერიდან ეს ჩვენი ბიბლიაა!

– არა, მამი, ახლა ეს ჩვენი კამასუტრაა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ანა კოშაძე „დილა მშვიდობისა, საქართველოს“ აღარ წაიყვანს

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე ახალ სატელევიზიო სეზონზე გადაცემას „დილა მშვიდობისა, საქართველო“ ანა კოშაძე აღარ წაიყვანს. ტელეწამყვანმა გადაცემის გუნდთან სამწლიანი მუშაობა დაასრულა.

სამაგიეროდ, ანას მაყურებელი გადაცემა „შუადღეში“ იხილავს, სადაც სოფიკო ნარჩემაშვილთან და ნინუცა ორჯონიკიძესთან ერთად ათასობით მაყურებელს საინტერესო თემებზე საინტერესო სტუმრებთან ერთად ესაუბრება.

## ნუცა შანშიაშვილს ფილმში იღებენ

მომღერალ ნუცა შანშიაშვილს ფილმში იღებენ. რეჟისორი გიორგი ჯაფარიძე სრულმეტრაჟიან ფილმზე „თამაში ათისათვის“ მუშაობს.

ფილმში ნუცა შანშიაშვილთან ერთად მონაწილეობენ ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობები: მურმან ჯინორია, გურამ ჯაში, მზია ტალიაშვილი.

მაყურებელი ახალ ქართულ ფილმს უახლოეს მომავალში იხილავს.

## მარიამ ალექსიძის სპექტაკლი იერუსალიმში გათამაშდა

იერუსალიმის ისტორიულ პარკში მსოფლიოს საუკეთესო ქორეოგრაფები შეიკრიბნენ. გერმანიიდან, საბერძნეთიდან, პოლონეთიდან, იტალიიდან, საქართველოდან, რუმინეთიდან, სლოვაკეთიდან, კანადიდან და კოსოვოდან ჩასულმა სტუმრებმა „სოლოშესრულების საერთაშორისო ფესტივალზე“ საკუთარი შემოქმედება წარადგინეს.

საქართველოდან ფესტივალში მონაწილეობდა გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ სამხატვრო ხელმძღვანელის, მარიამ ალექსიძის მინიატურა „ქუჩა“ მარიამ ქოიავას შესრულებით.

მანანა დუმბაძე, მწერალი:

– ყველას, ყველას ვაჯობეთ, თან აშკარად, დიდი სხვაობით. ძალიან, ძალიან ნიჭიერი ხარ, საქართველო!

## „შემოდგომის თბილისი“ 30 წლის იუბილეს ზეიმობს

ჯანსუღ კახიძის მიერ დაარსებული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ 30 წლის იუბილეს ზეიმობს.

16 სექტემბერს რიგით 30-ე საიუბილეო საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ მილანის ლა სკალას საოპერო თეატრის კამერული ორკესტრისა და მაესტრო ვახტანგ კახიძის ერთობლივი კონცერტით საზეიმოდ გაიხსნება.

## გიორგი სოსიაშვილი წმინდა გრიგოლ ფერაძის ორდენით დაჯილდოვდა

ქართველ მწერალსა და პროფესორს გიორგი სოსიაშვილს წმინდა გრიგოლ ფერაძის ორდენი გადაეცა.

წმინდა გრიგოლ ფერაძის პრემიის წლევანდელი ლაურეატების გამოვლენა ვარშავის უნივერსიტეტის ჩარტორისკების სასახლეში გაიმართა. წმინდა გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო პრემიის მიმნიჭებელმა საბჭომ სხდომაზე რჩეულები დაასახელა. ლაურეატებს შორის არიან: იენის უნივერსიტეტის პროფესორი ჰაინც ფენრიხი – ქართველური და კავკასიური ენების შესწავლის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; ბონის უნივერსიტეტის პროფესორი ჰაინცგერდ ბრაკმანი – აღმოსავლეთის ლიტურგიკული ტექსტების შესწავლის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი სოსიაშვილი – ლიახვის ხეობის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

საბჭოს შემადგენლობაში, რომელმაც წლევანდელი ლაურეატები გამოავლინა, შედიოდნენ: დავით ყოლბაია (თავმჯდომარე) – ვარშავის უნივერსიტეტი; ჰენრიკ პაპროცკი – ვარშავის სასულიერო სემინარია; ვახტანგ ლიჩელი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; იან მალიცკი – ვარშავის უნივერსიტეტი; ბერნარ უტიე – საფრანგეთის სამეცნიერო აკადემია; იოსტ გიპერტი – ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი.

დაჯილდოების ცერემონია პარიზში მონაკოს სასახლეში 19 ნოემბერს წმინდა გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე გაიმართება. წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის საერთაშორისო პრემია 2010 წელს ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის ქართველოლოგიურ ჟურნალ „პრო გეორგიას“ სამეცნიერო საბჭოს ინიციატივით დაწესდა. პრემია მის ლაურეატებს იმ ჰუმანიზმისა და ფასეულობებისთვის გადაეცემათ, რომლებსაც ისინი თავიანთი ცხოვრების განმავლობაში ამკვიდრებდნენ. პრემია უძველესი ქართული ხელოვნების ნიმუშის მარტვილის პანაგიას ასლს წარმოადგენს, მარგალიტის თვლებითა და მინანქრით მოხატული, ოქროთი და ვერცხლით მოოჭვილი, სადაც წმინდა გრიგოლის ხატია გამოსახული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ჯოსვოხდი ১



**შვეულად:** 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 3. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 4. თხრობითი ხასიათის პოეტური ქმნილება; 5. წრეხაზის ცენტრზე გამავალი ორი წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზი; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. კატარის დედაქალაქი; 13. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 14. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 16. მდგომარეობა კრივში; 18. ესპანური სპორტული გაზეთი; 20. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

**თარაზულად:** 6. მოკარნახე თეატრში; 7. სპეციალური წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების ჩამონათვალი; 8. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 10. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 11. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში; 15. შტატი აშშ-ში; 17. სომხური ცეკვა; 19. სოხუმის ძველი ბერძნული სახელწოდება; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. ძველებური ცხენებშებმული, მრავალადგილიანი სამგზავრო-საფოსტო კარეტა; 23. რაიონული ცენტრი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*